

ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების უფლება (შედარებითი ანალიზი
საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით)

თამთა აშორტია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან არ არის ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა აშორტია

აბსტრაქტი

ერთნაირსქესიანთა ქორწინება არის კავშირი ორ ერთიდაიმავე სქესის წარმომადგენელ პირს შორის, რომელიც სამართლებრივად არის აღიარებული. სამაგისტრო ნაშრომი მსოფლიოში აქტუალურ სამართლებრივ პრობლემას, ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების უფლებას ეხება. მრავალი არგუმენტი არსებობს, რომ ერთნაირსქესიან წყვილებში ქორწინება იყოს დაშვებული, მაგალითად, როგორცაა თანასწორობა, ადამიანის უფლებები, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ერთნაირსქესიან წყვილთა უფლებების დაცვა ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა. ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა ერთნაირსქესიან წყვილთა უფლებების დაცვის აუცილებლობა და ნაშრომში განხილულია ის ცვლილებები, რომელიც ქორწინების ინსტიტუტმა დროთა განმავლობაში განიცადა.

წინამდებარე ნაშრომი კვლევის საგანს წარმოადგენს ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების უფლება საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. სასამართლო პრაქტიკის და კონკრეტული საქმეების განხილვით, ავხსნი, თუ როგორ შეიცვალა ქორწინების ტრადიციული გაგება დროთა განმავლობაში. ნაშრომში განხილულია არგუმენტები, თუ რატომ უნდა იყოს ქორწინება ფუნდამენტალური უფლება ყველა ადამიანისთვის.

საქართველოში ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების არ არსებობით ირღვევა ერთნაირსქესიან წყვილთა უფლებები ყოველდღიურად. ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს ის უფლებები, რომლებიც ჰეტეროსექსუალ წყვილებს გააჩნიათ საქართველოში და ჰომოსექსუალი წყვილები, ანალოგიურ პირობებში ყოფნის მიუხედავად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ისარგებლონ ამ უფლებებით. ჩემს თეზისში გამოყენებულია სამართლებრივი არგუმენტები რომელიც წარმოაჩენს მოთხოვნას თუ რატომ უნდა იყოს ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინება სამართლებრივად აღიარებული საქართველოში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ერთნაირსქესიანთა ქორწინება; სექსუალური ორიენტაცია; გეი წყვილი; ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების უფლება; ლგბტქ უფლებები; დისკრიმინაცია; სამოქალაქო პარტნიორობა

Abstract

Same-sex marriage is union between persons of the same sex and it is legally recognized. Master's piece of work is about current legal problem – legally confession of same-sex marriage. There are a lot of arguments, which support same-sex marriage between couples, for example: equality, human rights, health care and so on.

Protection of rights of same-sex has become one of the most important issue since the beginning of 21th century. Civilized world admitted the necessity of defending same-sex couple rights. In this previous piece of work there are issued some changes, which were undergone by Institute of Marriage.

The research subject of the present work is a right of marriage of same-sex couples according to Georgian and International Practice. I'll explain how traditional meaning of marriage is changed from time to time by discussing on specific cases and judicial practice. The paper discusses the arguments why marriage should be fundamental right for every human.

Non-existence of marriage of same-sex couples breaches their rights everyday in Georgia. The aim of previous work is to review rights, which belongs to homosexual couples in Georgia. However, homosexual couples do not have an ability to use these rights despite of being in similar conditions. I used legal arguments in my thesis, which represents a request about why same-sex marriage should be legally admitted in Georgia.

Key Words: Same-sex marriage; Sexual orientation; Gay couples; Marriage rights for same-sex couples; LGBTQ rights; Discrimination; Civil Partnership.